№ 194
ხუთშაბათი, 10 სექტემბერი, 1898 წ.

1877—1898

№ 194
ხუთშაბათი, 10 სექტემბერი, 1898 წ.

ივერია

გაზეთის ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ერეკლეს ქუჩა ნიკოლოზის ბაღის პირ-ზე.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ დერაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველ სექტემბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია“ ღირს 4 მან. 75 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებისა და ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში

ბუნება და ცხოვრება

ილ. აღხაზიშვილისა

ფასი 60 კაპ.

ვინც ზემოხსენებულ მაღაზიებიდგან დაიბარებს არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა 48 კ.
ათის ცალის გაგზავნა ღირს 37 კ. (20—84—20)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ ჩაქოდანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ს. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

ზ.ი. ბაბანასიანცი. — დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ს. ბ. კარაბეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ს. გ. გურკო. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობისაგან, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

სადამოობით:

ვ. მ. მახვილაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

ბ. ს. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს. სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; არიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову (წ)

პეგილის ექიმი
ა. ე. სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დგან 2 მდე და ნაშუადღევის 5-დგან 7-მდე.
მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—9)

ქუთაისის
სასოფლო სამეურნეო სასწავლებლის

პირველს კლასში შემოსასვლელი ეგზამენები დაიწყება 23 **სექტემბერს** და დამთავრდება 25 **სექტემბერს** (2—134—1)

ახალი ამბავი

*** გუშინ, 9 სექტემბერს, დილის ათ საათზედ, კუკიის რომაელ კათოლიკეთა წმ. პეტრე-პავლეს ეკლესიაში პანაშვიდი გარდაიხადეს მისის უდიდებულესობის ავსტრიის განსვენებულ იმპერატრიცას ელისაბედის სულის მოსახსენებლად, რომელიც ამას წინად ჟენევაში მოჰკლეს. პანაშვიდს დაესწრნენ კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი, მისი თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე, გენერლობა, გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი, ვიცე-გუბერნატორი კ. კ. სტეფანოვიჩი, კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ნ. რეიტერი, პოლიცმეისტერი ლ. პ. მასტიცკი, ავსტრიის ელჩი ს. ა. ფონ უგრონი, სპარსეთისა, ოსმალეთისა, საფრანგეთისა, შვეიცარიისა, გერმანიისა და იტალიის ელჩნი და მრავალი ხალხი.

*** მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ექსარხოსმა ფლავიანემ დაამტკიცა ის კომიტეტი, რომელიც შეუდგენიათ „ნაძალადევის“ მცხოვრებელთა „ნაძალადევში“ მართლ-მადიდებელთათვის ეკლესიის აშენებლად ფულის მოსაგროვებლად.

*** გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 10 სექტემბერს, საღამოს 8 საათზედ სათავად აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია ქართულ დრამატიულ საზოგადოების კრება. კრებამ უნდა განიხილოს სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვა და აგრეთვე მოისმინოს მოხსენება დამდეგ სეზონში თეატრის საქმის წარმოების შესახებ. ერთის იტყვით, ამ კრებამ უნდა გარდასწყვიტოს ჩვენის თეატრის მომავალ სეზონის ბედ-იღბალი, უნდა გამოირკვეს, დრამატიული საზოგადოება იკისრებს ამ სეზონში თეატრის საქმის წარმოებას, თუ სხვა ვინმე. უცნაური ამბავი-კია, რომ დრამატიულ საზოგადოების „მხნე“ გამგეობა ეხლა შეუდგა ამ საქმის გამოძიებას, როდესაც „სეზონი“ კომიტეტის წევრთ ცხვირზედ აზით. ამას ვინა სჩივის, რაღა თქმა უნდა, ჩვეულებრივ საკმაო რიცხვი წევრთა არ შეიკრიბება და ეს კრება რამდენისამე კვირით გადაიდება. ერთის სიტყვით, ეს ჩვენი „აჩქარებული“ გამგეობა ამ სეზონის დამლევამდე გარდასწყვეტს, დაიწყოს წარმოდგენების გამართვა, თუ არა!?.

*** 7 სექტემბერს, საღამოზე, ქალაქის გამგეობაში ქალაქის სასწავლებლის საბჭოს მიერ ამორჩეულ კომისიას კრება ჰქონდა და ამ სასწავლებლების მასწავლებელთა ქქ. ტურსკაიასის, შტეინის და დანილოვის მაგიერად დაადგინეს მოიწვიონ მასწავლებლებად თავადის ასული ვახვახიშვილისა, ქ. სოკოლოვისა, ქ. იშხანიანცისა და ქ. ჯიჯავაძისა. ეს მასწავლებელნი ამორჩეულ იქმნენ 36 მასწავლებელთაგან, რომელთაც ქალაქის გამგეობისათვის ეთხოვნათ ქალაქის სკოლებში მასწავლებლობა მოგვეცითო. ამას გარდა იმავე კომისიამ დაადგინა, მეფე ირაკლის სახელობაზე დაარსებულ სამის სკოლისათვის მიიწვიონ სამღთო წერილის მასწავლებლებად მღვდელნი ასათიანი და ჩაგუნავა და სომეხთა მღვდელი საკიანცი. ამავე სკოლებში ქართულის ენის მასწავლებლად—თავადის ასული ჯორჯაძე და ქ. ხმიადოვისა და სომხურის ენის მასწავლებლად-კი—ქ. გალუმოვისა და შახ-აზიზიანცი.

*** ქალაქის მოურავს გ. გ. ევნგულოვს 11 სექტემბერს მოელიან ტფილისში.

*** ქალაქის სახელოსნო სკოლაში ამ წელს მიუღიათ სასწავლებლად 83 ბავშვი, მხოლოდ 135-თვის უარი უთქვამთ უალაგობისა გამო.

*** ამას წინად ადგილობრივ გაზეთებში და აგრეთვე ივერიაში მოხსენებული იყო, ქალაქის გამგეობამ პოლიცმეისტერს აცნობა, რომ ქუჩებს სრულიად აღარ ჰგვიან და არ ასუფთავებენო. სხვათა შორის ქალაქის მკურნალის ყასუმოვის ცნობებიდგან სჩანდა, რომ პოლიციის მე-5 ნაწილში 23 ქუჩას ძლიერ უსუფთაოდ ინახავენ მამულების პატრონები. ამის გამო პოლიციის მე-5 ნაწილის ბოქაულმა სთხოვა პოლიცია მორთვა მოკაზმვა დაიწყო, თუმცა ყოველს მოძრაობაში აშკარად ეტყობოდა, რომ თავისს თავს დიდს ძალას ატანდა.

კარგად მოსალამოვდა. ქაიხოსროს ეზოში ხალხმა უფრო მოიმატა და ხშირად იქით გაიყურებოდნენ, საიდგანაც ყარსუმა და იმისი მაყრიონი უნდა გამოჩენილიყო.

ამ დროს დესპინე მარტო იჯდა ოთახში მაგიდასთან და კარანდაშით რაღაცა წერილს სწერდა. სახეზედ უსაზღვრო სევდა ემჩნეოდა და თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. აშკარა იყო, რომ რაღაცას საგრძნობელსა სწერდა. წერა რომ გათავა, ისე ამოიოხრა, რომ გული კინაღამ ამოაყოლა, და ჩუმის, მწუხარე ხმით წარმოსთქვა: „ეჰ, ამას არ მოვეფოდი, მარა ტყულე-კი არ უთქვამს საწყალს თამარს: „ეს სოფელი საზოგადოდ ცრუ და გაუტანელიაო“. (დესპინე „თამარიანს“ ხშირად კითხულობდა და ზოგიერთი ადგილი ზეპირადაც იცოდა). მერე წერილი პატარა კონვერტში გაახვია და ზედ აგრე დააწერა: „ჩემო სულო და გულო მართა, აი წერილი იმას გადიეციო“. კანვერტი ერთს

ფელეტონი

დესპინე და ნიკო

მოთხრობა

(დასასრული *)

VII

ერთს საღამოს ქაიხოსრო ძველგულაძისას რაღაც ფაცა-ფუცი იყო: ვინ შეშას აპობდა, ვინ თეფშებსა და ჭიქა-ბოთლებს ჰრეცხდა, რომლებიც მახლობელ დუქნიდგან ნათხოვრად მოეტანათ იმ ღამისათვის, ვინ უკანა ფეხით დაკიდულს თხას ატყავებდა და ვინ კიდევ რას ჰშვრებოდა. რამდენიმე საგარეოდ ჩაცმული ქალი და კაცი უსაქმურადაც დადიოდა ეზოში და სხვა და-სხვა გვარ ხუმრობა-ოხუნჯობით ერთმანეთს ართობდნენ. ყველას კმაყოფილება ეხატებოდა სახეზედ და უმეტესად ქაიხოსროს, რომელსაც ხანდახან სიამოვნებას უშლიდნენ იმითი, რომ ესა და ეს არ გვეყოფაო, ჩაუჩურჩულებდნენ, მაგრამ ქაიხოსრო ცოტა წარბების შეჭმუხვნის შემდეგ ბეჭებში ხელის დაკვრით მიუგებდა:

— კი კმარა, ჩემო ძმაო, რაც არი იგი გავაკეთოთ და რაც არ არის, აფერია, მართლა „ველი კნიაზს“ კი არ ველიო.

— რაა, მაკა, რავა მოწყენილი ხარ? ვითომ ხუმრობით უთხრა ქაიხოსრომ თავისს ცოლს, როცა იგი წინ შეხვდა და რაღაცის თქმა დაუპირა.

— ვოოი, მოწყენილი-კი არა, ცოცხალი რაფერ ვარ შენს ხელში. შე ყურ-დასაფსებელო, ყრუი ხარ თუ რეიზა არ გესმის ჩემი სიტყვა? აი ბაღანე რომ თავს იკლავს ტირილით და რაც უნდა დამემართოს იმას არ წავხვებიო, რომ ჩივა *), რეიზა აფერ ყურადღებას აქცევ, შე მიწა გასახეთქო?

— ბაღანამ და შენ ძალი იცით, რა ჯობს და რა არა, მოკლედ მოუჭრა სიტყვა ქაიხოსრომ და მიუბრუნდა ერთ ახალგაზდა ყმაწვილს: აზნაუშვილო, აზნაუშვილო! (ქაიხოსროს ჩვეულებადა ჰქონდა, რომ აზნაურშვილისათვის სახელის მაგივრად „აზნაუშვილი“ დაეძახნა, რადგან ეს უფრო საალერსო სიტყვად მიაჩნდა) ერთი შენ, თუ გიყვარდე, ხუკესთან გამეგზავნე და უთხარი ჩემს მაგიორ, რომ ამელამ ქალიშვილის ჯვარის-წერა მაქ და მზათ იყავითქვა.

—

დიაღ, ამ ღამეს ქაიხოსრო დესპინეს ჯვარის-წერას აპირებდა და ამიტომ ჰქონდა ეს მზადება. მართალია, დესპინეც ტირილით თვალებს ისივებდა და უარს ამბობდა ყარსუმას ცოლობისას, რაც შეეძლო, და მაკამაც ბევრი ეჩიჩინა ქაიხოსროს: „დამიჯერე მე, ნუ უყურეფ შენი ძმების სიტყვას, შენი შვილი შენ უნდა გეწვოდეს **), თვარა იგენს რა ენაღვლება? მივსცეთ აი ბაღანე ღირსეულიძეს, აგერ გვეყოლება ყურის ძირში, კაი ქმრის ხელში იქნება და კას ვოჯახშიო“, მაგრამ ქაიხოსროს, თითქო გრძნობაც დახშვია და ყურიც დაფსებიაო, არც ერთი არ ესმოდა და თავისას არ იშლიდა.

საღამომ მოატანა. მზემ ძალიან დაბლა დაიწია და ისეთის სიჩქარით უახლოვდებოდა ცისკიდურს, თითქო რაღაც ცუდი ამბავი შეიტყო და სცდილობს, რომ იგი იმის უმოწმოდ მოხდესო.

— ბაისო, აბა, თუ ქალი ხარ, მოკაზმეთ აწი დესპინე, უთხრა ქაიხოსრომ თავისის ძმის ცოლს.

— რაღა მოვკაზმოთ, ბატონო, დილას აქეთ ტირილის მეტს აფერს არ შობა და რაღა მოკაზმულობა და მორთვა უნდა დაშვენდეს იმას, უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ბაისომ.

— სადაცაა აწი ქე მევილიენ და შენ რაფერ ხარ, ბიცოლა, შენი ჭირიმე, ადექი, გენაცვალე, პირს დაგბანიებ, ტანზე ჩეიცვი და ისე დაჯედი. რაა მართლა ნამეტარი აფერი არ ვარგა, სატირალი რა გაქ, ღმერთო მომკალი, ტირილი-კი არა, სიცილი და თამაში გკაქ, რომ ღმერთმა შენი გაბედნიერება მოგვასწრო, ახლა ლაპარიკობდნენ ეგერ, ერთ კაცად მარტო ხასიათი ღირს მისიო, ვითომ გულის გასაკეთებლად უთხრა ბაისომ დესპინეს.

ბაისოს ამ გვარს სიტყვებს სრულიად არ უნუგეშებია დესპინე და იოტის ოდენა ნაღველიც არ მოუშორებია იმისი გულისათვის, მაგრამ ის მაინც ისე დასთანხმდა თავისს ბიცოლას, თითქო იმისმა სიტყვებმა მართლა იმოქმედესო და ბედს დაამორჩილესო; ადგა, პირი დაიბანა

*) ჩივა—ამბობს.

**) გეწვოდეს—გეცოდებოდეს.

*) იხ. „ივერია“, № 191.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მეისტერს გამოაცხადოს, რომ ეს ცნობები სულ ტყუილია და თითონ ექიმს ყასუმოვს, რომელიც სწერს, 23 ქუჩა უსუფთაოდ არისო, აგერ რამდენიმე თვეა ეს ქუჩები თვალითაც არ უნახავს და თითონ არსად არა სჩანსო.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტროს საბეითალო განყოფილების გამგე ნ. ბ. პეშტიჩი 7 სექტემბერს იკნევის სადგურიდგან ტფილისს ჩამოვიდა. დღეს, 10 სექტემბერს, ბ-ნი პეშტიჩი ბაქოსა და განჯას წავა საქონლის ჭირთან ბრძოლის საქმის დასათვალიერებლად.

⁂ ტფილისის მაზრის უფროსმა აცნობა ბ-ნ გუბერნატორს, რომ სოფ. ბორბალოში რაღაც სენი გაჩენილა, რომლითაც 4 სული საქონელი გამხდარა ავად და მათგან 3 დახოცილაო. ამის გამო გუბერნატორმა გუშინ გაჰგზავნა ბორბალოს ბეითალი ამ სენის გამოსარკვევად და მის მოსასპობად ლონის-ძიებათა სახმარებლად.

⁂ რაზინსკის ფირმას უთხოვნია კავკასიის სამეურნეო საზოგადოების პრეზიდენტისთვის, შემწეობა მომეცით, რომ ამიერ-კავკასიაში საცდელად დავთესო ჭარხალი შაქრის გასაკეთებლადაო. თუ ამ ცდას კარგი შედეგი მოჰყვა და კარგი ჭარხალი მოვიდა, ამიერ-კავკასიაში შაქრის ქარხანა უნდა დავაარსოო.

⁂ ქალაქის გამგეობას კიდევ ერთი ახალი წინადადება მისვლია ცხენის რკინის გზის შესახებ. ეს წინადადება წარუდგენია ერთს ახალს უცხოელს საზოგადოებას. „ნოვ. ობოზ.“ სწერს, რომ ამ ახლად დაარსებულის საზოგადოების წინადადება ყველაზე უფრო ხელ-საყრელია ქალაქის გამგეობისათვის, ვიდრე სხვებისა. ახალი საზოგადოება ჰპირდება ქალაქს პირველ წელიწადს 46,000 მანათს, შემდეგ ყოველ წლივ მოუმატებს, ვიდრე 86,000-მდე ავა იჯარა.

⁂ გაზეთი „პეტერბ. ვედ.“ იუწყება, რომ რუმინიის მთავრობას გამოუგზავნია ოდესაში, კავკასიაში და იმიერ-კასპიის მხარეს პოლკოვნიკი ბოტიონი და ერთი ბეითალი, რომელთაც რუმინიის ჯარისათვის ცხენები უნდა იყიდონ.

⁂ გაზ. „კავკას“-ს გაუგონია, რომ ტფილისში კვლავ მიღებულია ცნობები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის ამიერ-კავკასიის განყოფილებასთან გლეხთა საადგილ-მამულო ბანკის განყოფილების დაარსების შესახებაო.

⁂ გაზ. „ტფ. ფ.“ სწერს, რომ დიმბაძის დასაცველად, რომელსაც მასწავლებელ-ქალის შმაკოვის მოკვლის განზრახვის ბრალი ედება, მოწვეულია მოსკოვის ცნობილი ვექილი პლევაკო.

⁂ რუსეთის ერთი გაზეთი იუწყება, რომ უცხოელ ფულის პატრონებს მიუმართავთ რუსეთის მთავრობისათვის და უთხოვნიათ—ნება მოგვეცით ელექტრონის რკინის გზა გავმართოთ შავის ზღვის ნაპირებზედ, სადაც უფრო მეტი ავადმყოფი მოდის განსაკურნებლად და აგრედვე ყირიმში, ზღვის ნაპირებზეო.

ს. ჯარდენახი, (სიღნაღის მაზრა). კარგა ხანია, რაც აქ დაიბადა აზრი, რომ საქალაბო სამრევლო სკოლა დაეარსებინათ. თვით პატივცემული მამა მირიანაშვილიც, ადგილობრივი მეთვალყურე სამრევლო სკოლებისა რამდენჯერმე მოვიდა აქ, რომ ეს განზრახვა საქმედ ექცია, მაგრამ საქმე როგორღაც ვერა რიგდებოდა. ეხლა-კი დიდის მეცადინეობით ხელი მოჰკიდა ამ საქმეს თ. აფხაზიანთ, ვაჩნაძიანთ, ფორაქაშვილიანთ და რამდენისამე შეგნებულის გლეხის დახმარებით ადგილობრივმა ახალგაზდა მღვდელმა მ. ბენაშვილმა და საქმე ისეა მოწყობილი, რომ იგი აპირებს კიდეც ამ ახლო ხანებში სწავლის დაწყებას.

⁂ სეშაბათს, 8 სექტემბერს, ქალაქის საბჭოს დარბაზში კრება ჰქონდათ ტფილისის მოქალაქეთ, რათა ამოერჩიათ 100 ხმოსანი მოქალქეთა გამგეობისა (დეპუტატი). კრებას დაესწრო სულ 72 კაცი. კრება დაიწყო შუადღისას და გასტანა საღამოს 9 საათამდე. კანდიდატების დასახელების შემდეგ ყუთები დაუდგეს 51 კაცს. ამათ შორის ხმის უმეტესობით ამორჩეულ იქმნენ: აბრამიანიცი, ადამიძე ა., ასიტოვი თ., ახნაზაროვი ა. მ., ბაბიჩევი ა., ბუღდანოვი ი., დევდარიანი ს., იედიგაროვი ი., იერემიშვი, კაპანაძე, ყულიჯანოვი, კონდახსაზოვი-კოლესნიკოვი, მელიქ-აივაზოვი, მარაროგლიძე, მაისურაძე ე., მაკედონსკი ა., მუკაელოვი, მინასოვი მ., მჭედლიძე, ნახშუმოვი, ნარიმანოვი ნ., ოქროპირიძე გ., ოგანოვი ი., ოტიანცი, პეტროვი, რეგერი ფრ., როლლოვი, საათსაზოვი, საიფოვი იაგ., ხალათოვი, ჩიმიშკიანი და ჩარკვიანი გ., სულ 33 კაცი.

არ ამოირჩიეს: ასლამაზოვი, აღუნაკოვი ს., არუთინოვი, ბეგიჯანოვი, დარჩიევი გ., ელიოზოვი, ზალიაშვილი ვ., მანველოვი, ოჰანეზოვი ა., როსტომოვი, სუსანოვი მ., სეფანოვი ვ., საიფოვი იოსები, შაინიანცი შალამოვი ივ., ჯაღათოვი, ჯილიაევი და ხუციშვილი. სულ 18 კაცი. ამოსარჩევი დარჩა 67 კაცი. არჩევანები 13 სექტემბრისათვის გადაიდო.

⁂ თიანეთის მაზრის სოფ. ახმეტას მცხოვრებს ბერო ბერძენიშვილს დასწვია სახლი და ყოველივე ავეჯეულობა, 500 მანათად ღირებული.

⁂ იმავე მაზრის, სოფ. გუდარახის მცხოვრებმა ჩხუბის დროს თოფით მოჰკლა სიღნაღის მაზრის სოფ. ტიბაანის მცხოვრები ლათიბაშვილი.

⁂ გორის მაზრის სოფ. ცხინვალში ისხაკ მანაშეროვის დუქნიდგან მოუპარავთ ქურდებს 350 მანათი. ქურდები ამ დუქანში მეორე დუქნიდგან შესულან, რომელიც ცარიელი ყოფილა.

⁂ გორის მაზრის სოფ. ნაწრეთში ვილაცამ ცეცხლიწაუკიდა თავ. მ. ლ. ერისთავის პურისა და ქერის ძნებს. ზარალი 600 მანათამდეა. იმავე სოფლის ერთს გლეხს დაუწვეს საბძელი.

წერილი კახეთიდგან

(თელავის მაზრა)

წავიდა გაზაფხული, ზაფხული და აი, შემოდგომამაც კარები მოკვირაკუნა. თუმცა წარსულის შესახებ ლაპარაკი ცოტა საძნელოა, მაგრამ ეს წარსული ისე შორს არ არის, რომ მის მთავარ მოქმედების ანგარიში ვერ გავწიოთ.

წარსული ზამთარი ფრიად მძიმე იყო კახეთისათვის: თოვლი ადრე მოვიდა და გვიან აშრა. ამ გარემოებამ მცხოვრებთ კარგი მოსავლის იმედი მისცა და არც გაუცრუა: გაზაფხული თუმცა ნოტიო იყო, მაინც ყანებმა კარგი პირი შეირჩინა; ვენახებმა საუცხოვოდ გამოიტანა ნაყოფი. ეხლა-კი თითქმის ყველამ მიჰყო ხელი ვენახის წამლობას. დიდი საქმეა თუ ან მესამედი ნაწილი კახეთის ვენახებისა დარჩა უწამლი. სათქმელი მხოლოდ ის არის, რომ ყველამ ერთ დროს არ უწამლა: ზოგმა ყურძნის გამოტანის დროს უწამლა, ზოგმა ყვავილში შესვლის დროს, ზოგმა ორივეს დროს, მესამედ-კი თითქმის არავინაც არ უწამლა. ვინც-კი პირველშივე უწამლა, იმის ვენახს შერჩა; ვინც ყვავილში და შემდეგ, იმას შრომამ და ხარჯმა სულ მუქთად ჩაუარა.

რომელთაც ვენახები საწამლებელი დარჩათ, ისინი სამად უნდა დანაწილდნენ: პირველთ შეუძლებლობამ, სილარიბემ შეუშალა ხელი; მეორეთ—ცრუ-მორწმუნოებამ, რომ ღმერთის წინააღმდეგი ვერ გავხდებით, თუ ღმერთს უნდა, უწამლოდაც მოგვცემს მოსავალსაო; მესამეთაც ცრუ მორწმუნეობამ, ხოლო მკითხავების პირით გამოქვეყნებულმა: ზიარებაში, ზედაშეში წამლის შერევა როგორ შეიძლებაო, წმ. გიორგი გვიწყრება, წარღვნასა და სეტყვას გვიქადისო! მართლაც, ევრი დააჯერეს და ვენახის წამლობისაგან ხელი აიღებინეს, უწამლოს ვინ იტყვის, წამლიანს ზედაშესაც დაანატრულეს!

ერთი ამ გვარ მკითხავ მანდილოსანთაგანი მეზობლადა მყავს. სწორედ სასაცილოა ამისი საქმე: ამ დედაკაცის ვენახი მეზობელსა აქვს აღებული სანახევროდ. თურმე იმ კაცმა მის გაუგებლად უწამლა ვენახს. რამდენჯერაც ღრუბელი წამოვა, იმდენჯერ დაეცემა ეს დედაკაცი ქადაგად ტ, ვინ იცის, რას არა ჰბოდავს! თან თავისს მეზვრეს უდგება შუამავლად ღმერთთან, ახვეწებს, რომ მაგის ბრალი არ არის ვენახის „წამვლაო“, სხვას შეუცდენია. ერთი ობოლი ბიჭიაო და სხვა. ეს სიცრუე არავის ეგონოს, ამის მნახველი და გამგონე მე თვითონ გახლავართ.

ჩვენმა ჩარჩ-ბაცაცებმა ამ ჩვენის ვენახების დასნეულება ბევრში თავისს სახეიროდ გამოიყენეს. წელს თითომ რამდენ რამდენიმე ცალი მანქანა შეიძინა. მიჰყვეს ხელი და თითონ დაუწყეს წამლობა გლეხების ვენახებს, რასაკვირველია, „ხეირით“. როცა თითონ აღარა სწამლობდნენ, მაშინ აქირავებდნენ დღეში 50 კ. ასეთი ქცევა მარტო სოფლის ჩარჩებს არ მოსვლიათ, ასე იქცეოდენ თვით ქ. თელავის ვაჭრებიც.

სხვა საქმე გაზაფხულისა და ზაფხულის დამდეგისა კახეთში აბრეშუმის მოყვანაა. წელს დარიგებული ჭიის თესლი არ აღმოჩნდა ისეთის კარგის ჯიშისა, როგორიც წინა წლებში გამოდიოდა: პარკი ძალიან წვრილი ჰქონდა. აბრეშუმი კარგი მოვიდა, ხოლო წინანდებურად ცილაობა ვაჭართა შორის არა ყოფილა, რის გამოც მცირე ფასად გაიყიდა. ვინც ჭიის თესლი დაარიგა, დანარჩენი პარკიც იმან შეისყიდა, როგორც მისი სურვილი იყო. ფუთი პარკი 10—11 მ. არ ასცილებია.

რადგან მეფუტკრეობა ჩვენში აგრე რიგად არ არის გავრცელებული, ამიტომ ამ მეურნეობის დარგის შესახებ თითქმის არაფერი ისმის ხოლმე სოფლებიდგან. მაინც და მაინც ისეთი სოფელი არა მგონია იყოს, რომ რამდენსამე კომლს ფუტკარი არა ჰყავდეს. ჩვენის ხალხის რწმენით, არც შეიძლება ყველას ედგას ფუტკარი, რადგან მის ყოლას ილბალი უნდა და ყველას ხომ ილბალი არ ექნება. რასაკვირველია, ეს ცრუ რწმენაა... თუმცა წრევანდელი გაზაფხული არ იყო საიმედო ფუტკრის ბარტყობისათვის, მაინც მოლოდინს გადაეჭარბა, მართვეც (рой) კარგა ბლომად გამოუშვა და თაფლიც საკმაოდ ბევრი შეიტანა.

პურის მოსავლის ავ-კარგს კახეთში გაზაფხულივე აბოლოებს. დადგება

პატარა გოგოს ფარულად მისცა და უთხრა: „ანეტა, შენ დაგენაცვლე, შენებურა ჭკუიანათ წეიღე, არავინ გინახოსო.“ ამის შემდეგ ისევ ოთახში შემობრუნდა და, რახან ჯერ ის ბერიკაცი, როგორც თითონ ეძახდა ყარსუმას, არსად სჩანდა, ისევ დაჯდა, თავი ხელებში ჩაიდო, ნიდაყვებით მაგიდაზედ დაეყრდნო და ფიქრს მიეცა.

მოაგონდა თავისი პატარაობა, როცა გულ-უბრყვილოსა და თავისუფალს არაფერი არ აწუხებდა და არაფრის დარდი არა ჰქონდა. მერე ის დრო, ნიკო რომ პირველად გაიცნო და იმისი სიყვარული გულში დაებადა, იმანა და ნიკომ რომ სიყვარული გამოუცხადეს ერთმანეთს და ცოლ-ქმრობის პირობა დასდეს, რომელიც ასე ცუდად თავდებოდა. წარმოიდგინა ის სანეტარო წუთები, რომელიც ნიკოსთან ლაპარაკსა და ტრფიალში გაეტარებინა და რომელსაც კვლავ ველარ ეღირსებოდა. თვალები, ნაღვლისაგან დამწვარ გულის სარკედ გადაქცეული, მოუშორებლივ ერთის წერტილისათვის მიეპყრო, თითქო თავისი ბედი იქ ჰქონია დაწერილი და სწუხს, რომ წაშლიაო. სახეზედაც დიდი მწუხარება ეხატებოდა. ბოლოს თვალი გარშემო მოავლო და ერთს კედელს შეაჩერა: აქ ეკიდა იმისი ჩონგური და დაირა, რომლებისაც მან ჩინებული დაკვრა იცოდა, ადგა, ამ საყვარელ საგნებს მიუახლოვდა და წყნარისა და შესაბრალის ხმით დაიწყო:

„შვიდობით, შენი ჭირიმე, ჩემო ჩონგურო, აწი უბედური შენი დესპინე შენს ტკბილს ხმას ველარ გეიგონებს, ნეტე თავიდგანაც არ გამეგონა და სულ არ გავეჩინე იმ მადლიან ღმერთს, ახლა მოსვენებული და მორჩენილი ვიქნებოდი ყორიფელ დავი-დარაბას. შენც შვიდობით, ჩემო დაირავ, არც შენ შეგაწუხებს აწი ჩემი ხელები, იქნება მე რომ ხელს გცემდი, შენ მაშინ ტიროდი და მწყევლიდი და რახან მე შენს ტირილს ყურადღებას არ ვაქცევდი, იმიზა გავუბედურდი ასე“.

ახლა თავისს ნაქსოვ-ნაქარგებს მიუბრუნდა, რომლებიც იქვე ეკიდა და უნდოდა, რომ ამათაც გამოსაუბრებოდა უკანასკნელად, მაგრამ ამ დროს ეზოდგან რაღაცა ჩოჩქოლი მოესმა და ცხენების ფეხთა თქარათქური გაიგონა: ისე დაფაცურდა, თითქო ქურდობაზედ შემოასწრეს და დამალვას ცდილობსო. უცებ მეორე ოთახში გავარდა და ერთს კედელს მიეჭრა. აქ ეკიდა მისის მამის იარაღი: ძველი ხმალი, ხანჯალი და ახალი რევოლვერი, რომელიც ერთი თვეც არ იქნებოდა, რაც ამ ოთახის სამკაულთა რიცხვს შეემატა. ეს რევოლვერი ქაიხოსროს ვნების კვირაში მოუვიდა თავისი შვილისაგან წერილთან ერთად და მომტანმა უთხრა: „გოგიც აპირობდა ახლა წამოსვლას, მარა ხაზეინმა არ გამოუშვაო. აგერ ორი წელიწადი იქნებოდა, რაც გოგი ქალაქში ვიღაცასთან იდგა. დესპინემ პირდაპირ რევოლვერს ჩამოუსვა ხელი, ბოხჩიდგან ამოიღო და გულზედ მიიდო, მაგრამ უცებ შეჩერდა, თითქო რაღაც მოაგონდაო და ტუჩების კვნეტით ბეჩავად ჩაილაპარაკა: „მისი ჭირიმე გოგის გამოგზანილი ლევერით რაფერ მევიკლა თავი, ხომ ეწყინება იმასო?!“ და ლამაზი ჟუჟუნა თვალებიდგან გადმოგორებული ცრემლის მარცვლები ფერმკრთალს ლოყებზედ ზოლებად დაეშინია. კარგა ხანს ტიროდა საბრალო დესპინე...

სტუმრები ჯერ აივანს არც-კი მოახლოვებოდნენ, რომ რევოლვერმა იჭექა და თავისის შემზარავის ხმით ხალხი შეაჩუმა. ამ ხმას ყველაზედ უწინ ყურადღება მაკამ მიაქცია, რომელიც გულ-ცივად ეგებებოდა ახლად მოსულს სტუმრებს და სასიძოს, სტუმრებს იმ წამსვე თავი დაანება, „ვინ იყო, ი ლევერი რომ დასცალაო“? შეშინებულის ხმით იკითხა და უნებურად ჩქარის ნაბიჯით ოდისაკენ გაექანა, თითქო წინდაწინვე იგრძნო იმისმა გულმა უბედურებაო. პწკალაზედ რომ შედიოდა, მუხლები დამბლა დანაცემსავით ეშლებოდა. კარები რომ შეაღო, გულ-შესაზარლად შეჰკივლა: „ვუუუმე, შვილო, თვალების დაფსება დედაშენის, რას ხედავს ამასო!“ და იქვე დაეცა გულ-წასული.

მართლა რომ გულ-შესაზარი და თავს ზარდამცემი სურათი დაინახა ოთახში საწყალმა მაკამ.

იატაკზედ პირ-ალმა ეგდო სულთმობრძავი დესპინე და საცოდავად ფართხალებდა, თითქო ნორჩი და სიცოცხლით დაუმტკბარი სხეული ჯერ სულს ვერ ელევა და არ უშვებსო. მეტის-მეტი სიმწარის გამო საწყალს გულის პირი მოეგლიჯა და მშვენიერი, მარმარილოს ქვასავით თეთრი მკერდი გამოსჩენოდა, იმისი ფუნთუშა, ახლად ახვითქული ძუძუები უნებლიედ თვალს მოგტაცებდათ. მარცხენა ძუძუს ქვეშ პატარა ჭრილობიდგან სისხლი თქრიალით მოჩუხჩუხებდა და წითლად ჰღებავდა მისს ტან-საცმელს. მარჯვენა ხელში რევოლვერი ეჭირა და დრო გამოშვებით იატაკზედ მაგრად სცემდა. ბოლოს თვალები უგრძნობლად გაახილა, მაგრამ უცებ სახე შეიჭმუხნა და ისევ სამუდამოდ დაჰხუჭა. უბედური მაკა, როცა ის ბევრის წყლისა და ძმარის პკურებით ძლივს მოაბრუნეს, შეშლილსავით აქეთ-იქით ელეწებოდა და საშინლად ჰკიოდა. როცა დაიღალა და ხმა მიუსუსტდა ლოყებ დაკაწრული და თმა გაწეწილი მივიდა დესპინეს ცხედართან, რომელიც გულზედ ხელ-დაკრებილი დაბალს ტახტზედ დაესვენებინათ, დაეცა მუხლებზედ, ხელები შვილს მკერდზედ დააყარა და გულ ამოსკვნილმა ცხარე ცრემლის ღვრით შესაბრალს ხმაზედ მოთქმა დაიწყო. თითოეული იმისი სიტყვა ისეთი მწუხარების გამომხატველი და ისეთი საგრძნობელის კილოთი იყო წარმოთქმული, რომ იმის გაგონებით ქვაც კი ატირდებოდა. მართლაც, ყველა იქ მყოფი ცხარე ცრემლს აფრქვევდა და მწარე ქვითინით ბანს აძლევ-

თუ არა ზაფხულის თვე თიბათვე, ყანა აქ აღარაფერსა ჰმატულობს, მარტო მწიფდება, შემოდის. თიბათვის ორკვირამდე ხომ გაიჭრება კიდეც ყანები. ყანებში რომ თვალი შევიდა, მაშინვე საშინელი სიცხეები დაიჭირა. ასე გასტანა აგვისტოს დამდეგამდე. ამ საშინელმა გვალვამ ძალიან შეაწუხა ვენახები, სიმინდები, ფეტვები და ბოსტნეული, მეტადრე ურწყავს ადგილებში. პურის მოსავალი კახეთში საზოგადოდ კარგია, ასე რომ წელს კახეთს, იმედია, არ მოჰშივა. ღვინის მოსავალიც არ არის ურიგო, მაგრამ ზოგიერთის სოფლის ვენახები-კი სეტყვამ ძალიან გაანადგურა. მეტადრე შესაბრალისნიარიან სოფ. ზემო-ხოდაშენისა და აწყურის მცხოვრებნი, რომელთაც ეს ოთხი წელიწადია სულ ზედიზედ ესეტყვებათ ვენახები.

როგორც სხვაგან საქართველოში, აქაც ნელი წელიწადია წელს, ყურძენი გვიან იწევა. ამ აგვისტოს ნახევრიდგან ძალიან აგრილდა, იქნება ამ ამინდმა ყურძენიც ააჩქაროს.

ფშავლიშვილი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

კარგად ვუწყით, როგორ არიან ზოგიერთნი პედაგოგნი გატაცებულნი ესრედ წოდებულის „ბუნებრივის მეთოდით“, მეტადრე ქუთაისის გუბერნიაში. მათდა საყურადღებოდ და საცნობელად საჭიროდ მიგვაჩნია გადმოვბეჭდოთ კავკავის მასწავლებელთა აზრი ამ მეთოდის შესახებ. ამას წინად კავკავში საპედაგოგიო კურსები იყო გამართული. ამ კურსების დროსაო, სწერს გაზ. „ახ. მიმ.“-ის კორესპონდენტი:

ადგილობრივ ბერძენთა სასწავლებლის მასწავლებლებმა გაკვეთილი მისცა მოსწავლეებს ესრედ წოდებულის „ბუნებრივის“ მეთოდით. დირექციის წევრთა და აგრეთვე კურსებზედ დამსწრე მასწავლებლთა, ქალთა და კაცთა, „ბუნებრივი“ მეთოდი სრულიად უკარგისად და გამოუსადეგრად აღიარეს. საერო სასწავლებლების დირექტორმა ს. თ. გრუშევსკიმ განუმარტა დამსწრე მასწავლებლებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამშობლო ენას სხვათა ენის სწავლების საქმეში და რაოდენად გაუძნელდება მასწავლებელს სხვათა ენის სწავლება, თუ სამშობლო ენა ბავშვებისა არ დაიხმარა. ბ ნი დირექტორი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ „ბუნებრივის“ მეთოდის სმაბებს, რომელიც სხვათა ენას შესწავლის საქმეში სამშობლო ენის მონაწილეობას უარ-ჰყოფს, რიგიანი შედეგი არ მოჰყვება და ამიტომ მასწავლებლებმა რუსეთის სხვათა ერნენების სასწავლებლებში სამშობლო ენა უნდა მიიშველიონ და ისე ასწავლონ რუსული ენა. იქ, სადაც ამისთანა სასწავლებლებისათვის საკმაო მასწავლებლები არ არის, ძალა უნებურად უნდა ასწავლონ ბავშვებს „ბუნებრივის“ მეთოდით, ხოლო ამასთანა განსაკუთრებული შემოსვლა ძალიან იშვიათია და ისეთ მასწავლებლის მოდგაწეობას, რომელიც თითონვე არ ეცდება შეისწავლოს ბავშვების სამშობლო ენა, სამწუხარო შედეგი მოჰყვებაო.

ამას კორესპონდენტი თავისის მხრივ დასძენს, რომ „ბუნებრივი“ მეთოდი, რომელსაც საფრანგეთში „შარლატნობას“ უწოდებენ, რადგან ისეთი შესაბრალისი ნაყოფი მოიტანა იქ იმისმა შემოღებამ,—ეხლა უკვე აღარ იხმარება და იმისს ადგილს იჭერს კვლავ ძველი, „თარგმანებითი“ მეთოდი, რომლის ღირსება და უპირატესობა აშკარაა და ნათელი ყველა ჭეშმარიტის პედაგოგისათვის, რომელიც-კი სწავლებისა და აღზრდის საქმეს მარტოოდენ პედაგოგიის თვალთა ხედვის ისარითა ჰზომავს და ჰსინჯავსო.

რუსეთი

—

სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, რომ ამ წლიდგან დედათა საეპარქიო სასწავლებლებში ყვავილის აცრის სწავლებას შემოიღებენო.

— იმავე გაზეთების სიტყვით, ფინანსთა სამინისტრო ამ ჟამად ჰკრებავს ცნობებს რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობის შესახებ. სამინისტროს აზრადა აქვს წიგნი გაჰმოსცეს იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია ამ ჟამად რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობა.

— გაზ. „Свѣтъ“ ი იუწყება, რომ მთავრობამ უკვე გარდასწყვიტა დაარსოს შიდა რუსეთის ერთს-ერთს გუბერნიაში უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელიო. ჯერ გარდაწყვეტილი არ არის, რომელს ქალაქში იქმნება დაარსებული ეს სასწავლებელი.

— რკინის გზათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ პეტერბურგსა ან მოსკოვში მოწვეულ იქმნას კრება იმ მასწავლებელთა, რომელნიც რუსეთის რკინის გზების სასწავლებლებში მსახურებენ. კრებაზედ ლაპარაკი იქმნება იმის შესახებ, თუ რა ღონე უნდა იღონონ ამ სასწავლებლებში სწავლა-განათლების საქმის უკეთ წარსამართავად.

— საერო განათლების სამინისტრო ამ ახლო მომავალში შეიმუშავებს ახალ წეს-რიგს ქალაქებსა და სოფლებში საჯარო კითხვებისა და ლექციების გამართვის შესახებ. ამბობენ, რომ ამიერიდგან საჯარო კითხვებიან ლექციების გამართვის ნება-რთვა ადგილობრივ სასწავლებელთა გამგეებისაგან უნდა აიღონო.

— გაზეთები იუწყებიან, რომ ამერიკის ქალაქ ფილადელფიის უნივერსიტეტის ბაქტეოროლოგიის პროფესორად დანიშნულ იქმნა რუსეთის ქვეშევრდომი ქ ნი ლიდია რაბუცოვიჩი.

— საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ საერო სასწავლებელთა მასწავლებელ ქალთა და კაცთათვის საემერიტიო კასსები იქმნას დაარსებული.

უცხოეთი

—

საფრანგეთი. დრეიფუსის საქმეში, როგორც ახლად მოსული გაზეთები იუწყებიან, სოფრანგეთის პრეზიდენტი ფელიქს ფორიც ჩაერია. მინისტრთა უკანასკნელ კრების დროს, სამხედრო მინისტრმა, გენერალმა ცურლინდენმა განაცხადა, რომ თუ სამინისტრო გარდასწყვეტს, რომ დრეიფუსის საქმე სულ-ახლა იქმნას განხილული, მაშინ მე იძულებული ვიქმნები პრეზიდენტს მივმართო და ვსთხოო, რომ თანამდებობიდგან განმათავისუფლოსო. მინისტრ-პრეზიდენტმა ბრისონმა მკაცრად მიუგო: „თქვენმა წინამოადგილემ კავენიაკმა თანამდებობას იმიტომ დაანება თავი, რომ წინააღმდეგი იყო დრეიფუსის საქმის განხილვისა. როდესაც თქვენ სამხედრო მინისტრის თანამდებობის აღსრულება გთხოვეთ, ფოველივე ეს გაუწყეთ და განცხადეთ, რომ ჩვენ დრეიფუსის საქმის სულ-ახლა განხილვის მომხრენი ვართო. თქვენ არაფერი სთქვით და იკისრეთ სამხედრო მინისტრობა. ახლა ეს ვასკენა გამოიყენეთ, რომ თქვენ ჩვენის აზრისა იყავით.“ ადელგებულმა ცურლინდენმა სთქვა, რომ სამხედრო მინისტრობა საფრანგეთის პრეზიდენტის ფელიქს ფორის თხოვნით ვიკისრეო. ტოტა ოდენის კამათის შემდეგ ცურლინდენმა წამოიძახა: „ნუ თუ გინდათ ბრძანება გავცე, რომ გენერალი მერსიე დაუპატიმრონ?“. ბრისონმა მიუგო: „დიდ, თქვენ უნდა დაუპატიმროთ არა მარტო გენერალი მერსიე, არამედ ყველა ის, ვინც-კი სამშობლოს წინაშე დამნაშავეა. ყველა ჩვენგანი ვალდებულია რესპუბლიკას მოაშორეს თავიდგან მაგნე კაცები“. ამ დროს რესპუბლიკის პრეზიდენტმა, რომელიც ამ კრებაზედ თავმჯდომარეობდა, განაცხადა, რომ მეტ წინააღმდეგი კარ დრეიფუსის საქმის ხელ-ახლა განხილვისა“. რა მოხდა შემდეგ, გაზეთები აღარ იუწყებიან. ამბობენ მხოლოდ, რომ თუ სამინისტრომ თავისი არ დაიშალა და დაადგინა, რომ დრეიფუსის საქმე ხელ-ახლა იქმნას „განხილული, ფელიქს ფორი თანამდებობიდგან დათხოვნას მოითხოვსო.

—

ავსტრია. ავსტრიის გაზეთები და საზოგადოება ესლა იმის კვლევა ძიებაში არიან, იმპერატრიცას მკვლელს ლუკენის მომხრეები ჰყვანდა თუ არა? თან და თან აშკარავდება, რომ ანარქისტთა მთელი შეთქმულობა ყოფილა. ლონდონელი გაზეთი „Weekly Despatch“-ი სწერს: „რამდენიმე კვირა რაც სოდოსა და ტოტენგამ-კურტროდში (ლონდონის მიდამოებია), სადაც უცხო ქვეყნელი ანარქისტები სცხოვრობენ, არა ჩვეულებრივი მოძრაობაა. ეს ადგილები ანარქისტების ბუდეა. ამ ბოლოს დროს პოლიციამ გაიგო, რომ ანარქისტები საზღვარ-გარეთ აუარებელ ფულსა ჰგზავნიან. შემდეგ პოლიციას შეატყობინეს, რომ ანარქისტებმა განიზრახეს ჭოლანდიის დედოფლის მოკვლა. ამ გარდაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად მათ რვა კაცი აირჩიეს და ევროპაში გაგზავნესო“. იტალიელი გაზეთები იუწყებიან კიდევ, რომ ანარქისტებს შვეიცარიის ქალაქ ტიურიხშიაც ჰქონდათ კრებაო. ამ კრებაზედ მათ გადაუწყვეტიათ ერთ-ერთ ანარქისტს დაკვალოთ იტალიის მეფის ჰუმბერტოს მოკვლა. კრებას, სხვათა შორის, ავსტრიის იმპერატრიცის მკვლელი ლუკენიც დასწრებია.

დამკვირდი

მოწყინებაო, მარტოდ ყოფნისა
მშველელო გაიუკან სოფლიო,
კვლად მუნვე მიაქცევ, არ სტეპ ადგილსა, ეოვლელგან გაამწარებ.

ნიკოლოზ ტფილელი

* * *

ზოგს კაცსა საკმლად მიუჩანს
თვისი სიმერადის სუნება,
რაგინდ ბევრს ავსა შერებოდეს,
არა აქვს მისი წუნება,
სარეცხს გულტკბილად უფეკავებს
და ცოლს კი ებუზღუნება.

დავით გურამიშვილი

* * *

სულით მდიდარი სიფარეთა გლახაკ არს.

იოანე

და მაკას გულ საწვავს მოთქმას. ყარსუმა და იმისი მხლებელნი, რასაკვირველია, იქ აღარ იყვნენ. უბედურების მოხდენის შემდეგ ისინი ქაიხოსროსაგან მალე წავიდნენ და ამ კარაა, რა გუნებითაც დაბრუნდებოდნენ შინ.

VIII

ეხლაც სოფელ-სოფელ დადის ერთი პერანგის ამარა და ხან სრულიად შიშველი სანდომიანის სახის ვაჟკაცი, მალ-მალე უაზროდ იცინის და თან რაღასაც განუწყვეტლად ჰბუტბუტებს, თითქოს ცასა და ვეყანას რაღაცას შესჩივისო, უაზრო ლაპარაკის დროს ხშირად ამოოხვრით ამოიძახებს: „ვაიმე, ჩემო დესპინე!“ ოდა ცოტას შეჩუმდება.

ეს კაცი გახლავთ ჩვენი ნაცნობი ნიკო ღირსეულიძე, რომელმაც დესპინეს დარდი ვერ აიტანა და ჭკუაზედ შეიშალა. გონების შეშლა საწყალს პირველად იმით შეეტყო, რომ ვისაც შეხვდებოდა, ყველას ერთ წერილს აწოდებდა და ეუბნებოდა: „ერთი, თუ კაცი ხარ, წამიკითხე, რა სწერიაო“, თუმცა „მასაც ურიცხვჯერ წაეკითხა და სხვისაგანაც ბევრჯერ გაეგონა იმისი შინაარსი. ეს ის წერილი გახლდათ, დესპინემ რომ უკანასკნელად გამოუგზავნა. აი, რა ეწერა შიგ: „მუდამ გონებიდგან განუშორებელო სიცოცხლევ, ჩემო ნიკო! ხომ გახსოვს, გენაცვალე, მე და შენ რა სიტყვა მივეცით ერთმანეთს და რა ნაირი ფიცი დავსდევით? მე შამოგფიცე სიკვტილის მეტი ჩემს თავს შენ ვეფერი ვერ დაგაშორებს მეთქი და სტორეთ ასთეც მოხთა: რაღამც აფერი არ გამივიდა, მეტი ვეფერი ვერ მოვახერ ხე, თავს ვიკლავ. ენა ვერ გამოსთქვამს, რაფერ მიჭირს ამის ქნაი, მარა შენი დაშორებით სულ მუდამ წვალებას და ტანჯვას აი მირჩონია: რაცხა იქნება, იქნება, ქე მაინც მალე გაეავრჩები და მევისვენეფ. არც-კი ვიცოდი, თუ კაცი თავს მეიკლავდა, მარა გაჭირება თურმე ყორიფელს გაფიქრებიებს. თვითან სიკტილი კი არ მეძნელება ისე, შენი ნახვის ასე უდროოთ დაკარქვა რომ არ მაწუხებდეს. ნეტე ახლა მანახა ერთი ქე მაინც შენი თავი და შენი სიტყვები გამაგონა, რომ საიქიოს სანუგეშოთ წევიღო და მეტი არაფერი მინატრია. სხვა, ჩემო ნუგეშო, არაფერზე დამემდურო: მე ფიცი არ გამიტეხია, მგონი. მე საიქიოშიც მუდამ მეხსომები და გთხოვ, რომ მალე არც შენ დამიიწყო. შვიდობით, შენი ჭირიმე, აწი შენს უბედურ დესპინეს ვეღარ ნახავ და ვერც იმის სიტყვას გეიგონეფ. შენთან ლაპარაკს ამით ვათავეფ. ვინ იცის, რამდონი რამე მინდა მოგწერო, მარა ტვინი მებნევა მე უბედურს და ვეღარ ვახერხეფ“.

„გწერს მუდამ შენი ჭირიმე დესპინე“.

ეს წერილი რომ გაუცვდა ნიკოს, სადაც ჰნახავდა ქალალდის ნაგლეჯნაფლეთს დაყრილს, აგროვებდა, ვითომ დესპინეს გამოგზავნილი წერილიაო, ერთ ფუთაში ინახავდა და სოფელ სოფელ დაატარებდა, რის თვისაც სოფლელებმა მეტი სახელი „მექახალდიე გადარეული“ დაარქვეს. ვინ იცის, რამდენს დედას შეუშინებია თავისი შვილი ჭირვეულობის დროს „გაჩუმდი, ნუ ტირი, თვარა მექახალდიე გადარეული მუა ეგერ და ყურს მოგჭრისო“. ბავშვებზედ საკვირველად ჰმოქმედობდა ეგ სიტყვები.

ადვილად წარმოსადგენია, რა დღეშიაც ჩავარდებოდა ამ ამბვის მომსწრე საწყალი ილიტე. იმისი ერთად ერთი ნუგეში ამ მუხანათს ქვეყანაზედ ნიკო იყო, რომელსაც თავისი ყმაწვილ-ქალობა შესწირა და რომლის იმედითაც ყოველი გაჭირვება და განსაცდელი აიტანა, და ეხლა ეს უკანასკნელი ნუგეშიც მოესპო? დადიოდა საცოდავი წიწილებ-შემოცლილ კრუხსავით გაოცებული, ცასა და ქვეყანას თავისს უბედურებას შესტიროდა და სცდილობდა რითიმე ეშველა თავისის საყვარელ შვილისათვის: ვინ იცის, დღეს რომელ მკითხავთან იყო, ხვალ რომელთან, რომელთა რჩევითაც რამდენსამე ძლიერს ხატს რქა-მოჭედილი ხარი და ნიკოს სიგრძე ჩამოქნილი წმიდა სანთელი შესწირა, მაგრამ ყოველივე შრომა და ჯაფა უნაყოფოდ ეკარგებოდა. ბოლოს ერთი გამოჩენილი მკითხავი ასწავლეს, რომელიც ძალიან შორს იყო; არ დაუჯერა გულმა და იმასთანაც წავიდა.

გზაზედ ცუდი დარი დაესწრო, გაცივდა, ანთებით ავად გახდა და გასწია თავისს მეუღლესთან, რომ იმისთვისაც ეამბნა თავისი მწუხარება.

—

გავიდა დრო. კესა და იმისი ამბავი, რომელმაც ერთ დროს უხვი მასალა მისცა ცხილნარისა და იმ ახლო მახლო სოფლების მეჭორე დედაკაცებს, თითქმის ყველას დაავიწყა. არ ავიწყდება მხოლოდ საწყალს მაკას. ის ახლაც ხშირად მიდის ხოლმე მდინარის პირად, რომელიც იქვე ახლო ჩამოუდის, დაჯდება ქვაზედ და გულის-მწველ სიტყვებით სტირის საყვარელ შვილს: „ვაიმე, ჩემო წამწყმენდელო, შვილო, აქანე რამდონჯელ გიბანავია, რეიზა არ კვტება ძაღლების დასაჭმელი დედაშენი, აქაურობას რომ უმზერსო“. ტირილში ხომ ისე არ დაესწრება, რომ მიცვალებულს თავისს დესპინესთან რაიმე არ დააბაროს. დესპინეს ტანისამოსს და ყოველს ნივთებს, რაც საფლავში თან არ ჩაყოლია, თვალის ჩინსავით უფრთხილდება, ინახავს და ხშირად ცრემლებით ასველებს.

ქაიხოსროს თუ იკითხავთ, ის არხეინად გახლავთ. ის ეხლა-კი არა, როცა დრო იყო, მაშინაც არ იხეთქდა თავს და ხშირად ამბობდა: „სასიკვტილო იყო და მოკვტაო!“ იმან კი ცოტა დაალონა, რომ გაწყობილი საქმე ისე ანაზდეულად ჩაეშალა, მაგრამ ამის ნაღველიც მალე მოინელა.

გრ. ცენტერაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲑᲘᲡᲒᲐᲜ

(ამოკრებილი ამბები)

სახელოვანის კომპოზიტორის ვერდის მიერ მილანში დაარსდება 1899 წელს თავშესაფარი 100 მემუსიკეთათვის. ამ თავშესაფარში მიიღებენ 60 მამაკაცსა და 40 დედაკაცს. თავშესაფარი მშვენივრად იქმნება მოწყობილი. ქვემო სართულში ოთახები იქმნება მოსამსახურეთათვის და ზემო სართულში—სადარბაზო, საკონცერტო და სასადილო ოთახები. ბაღში გამართული იქმნება სამკურნალო და ეკლესია. ვერდიმ ამ თავშესაფარისათვის დიდ-ძალი ფული დახარჯა.

* * *

ამ ოცის წლის წინად ჟიულ ვერნმა დაჰბეჭდა ერთი მოთხრობა, რომელსაც სახელად წოდებრდა მოგზაურობა მთელის დედამიწის ზურგს გარშემო ოთხმოც დღეში. რაღა თქმა უნდა, რომ ყველას ეს შეუძლებლად მიაჩნდა, რადგანაც იმ დროს სულ ცოტა ერთი წელიწადი იკო საჭირო, რომ კაცს მთელის დედამიწის ზურგი შემოვარა. ეხლა-კი გარემოება ისე გამოიცვალა, რომ ჟიულ-ვერნის ფანტაზია ვედარავის გააკვირვებს. ამ ჟამად უკვე შეიძლება დედამიწის ზურგს კაცმა 59 დღეში შემოუაროს აი ამ გზით:

მარსელიდგან იოკოჰამას სუეზის სრუტესა, ადენსა, სინგაპურსა, საიგონსა და გონკონგზე—33 დღე. იოკოჰამიდგან სან-ფრანცისკოს—14 დღე. სან-ფრანცისკოდგან ნიუ-იორკს—4½ დღე. ნიუ-იორკიდგან პარიჟს 7 დღე. პარიჟიდგან მარსელში—¾ დღე სულ 59 დღე.

მაგრამ საკაა ამაზე მალეც შეიქმნება დედამიწის შემოვლა. გერმანიის ერთს ჟურნალს გამოუა გარეცხია, რომ როცა ციმბირის რკინის გზა გაკეთდება, სულ 33 დღეში შეიძლება კაცმა მთელს დედამიწას შემოუაროს ამ გზით:

ბრემენიდგან პეტერბურგს—1½ დღე. პეტერბურგიდგან ვლადივოსტოკს—10 დღე. ვლადივოსტოკიდგან სან-ფრანცისკოს—10 დღე. სან-ფრანცისკოდგან ნიუ-იორკს—4½ დღე. ნიუ-იორკიდგან ბრემენს—7 დღე. სულ 33 დღე.

ესეც ხომ საკმარისია, მაგრამ, სჩანს ახლანდელი ადამიანი ძლიერ სულ-სწრაფია, ეს საკმარისად არ მიაჩნია და სცდილობს, უფრო სწრაფად იმოგზაუროს. შორს არ არის ის დღე, როდესაც რკინის გზის მატარებელი საათში 100 ვერსს გაივლის. ჯერ ეხლავე ამერიკის პატარა გემს „ტუერმინია“-ს საათში 50—60 ვერსის გავლა არ უჭირს და მაშასადამე შესაძლებელია, რომ კაცმა დედამიწის ზურგს სულ 23 დღეში შემოუაროს.

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

8 სექტემბერი

პეტერბურგი. საბერძნეთის დედოფალი უავგუსტოესის შვილებით, ანდრეითა და ქრისტეფორეთი წაბრძანდა საზღვარ-გარეთ.

დიდი მთავრინა მარიამ ალექსანდრეს ასული ჰერცოგინა საქსენ-გოტისა უავგუსტოესის შვილით, პრინცესა ბეატრისაით ილინსკიდგან ცარსკოე სელოში დაბრუნდნენ.

იოკოჰამა. 9 ამერიკელი, 9 ინგლისელი, 5 გერმანელი, 5 ფრანგი და 2 რუსი, რომელნიც შან ჰაიში შეჰკრიბეს კორეის იმპერატორის დამცველობად, სეულში მოვიდნენ.

ლონდონი. „Standard“-ს კანდიიდგან სწერენ დეპეშით: „ადმირალი ნოელი ძლიერ უკმაყოფილოა იმაზე, ვინც ედჰემ-ფაშამ დააპატიმრა: იმ 61 კაცთა შორის, რომელიც ოსმალეთმა გასცა, არც ერთი არ არის უმთავრეს დამნაშავეთაგანი. ნოელმა მეატყობინა ედჰემ-ფაშას 26 მოთავეს სახელი და სთხოვა— დაუყოვნებლივ მოგვეცით ეგენი ხელშიო.

„Times“-ს დეპეშით სწერენ კანდიიდგან, რომ ადმირალმა ნოელმა უბრძანა ყველა იალქნიან გემების უფროსებს ნავთ-სადგურიდგან გასვლა, თუ ვინიკობაა, ყუმბარები დაუშინეს კრიტის კუნძულს.

ლონდონი. ქაირიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ საფრანგეთის მთავრობამ განუცხადა ინგლისს—მარშანის ექსპედიციას ოფიციალური ხასიათი არა აქვსო. სარდარი ჩაგონებს მარშანს, რაშიაც არის საქმე და ქაირში მოიყვანს. ამბობენ, ვითომ უკვე შეკრულია პირობა, რომლის ძალით საქმე იმით გათავდება, რომ ფაშადს ეგვიპტელნი დაიჭერენ.

პარიჟი. არავითარ ოფიციალურ ცნობებით არა მტკიცდება, რომ მარშანი ეგვიპტეში იყვეს.

კონსტანტინეპოლი. აქ არა ჰფიქრობენ, რომ ის 42 კაცი, რომელიც ოსმალეთის მთავრობამ გასცა, უმთავრესნი დამნაშავენი იყვნენ. გარეშე საქმეთა სამინისტროს მთავარ-მდივანი გაგზავნილ იქმნა ინგლისის საელჩოში, რათა მოახსენოს, ვინ იქმნას გაგზავნილი კრიტის კუნძულიდგან იმ უწესოებისა გამო, რომელიც კანდიაში მოხდა. ბრიტანიის საქმეთა რწმუნებულმა უპასუხა, რომ საქმე კრიტის სასამართლოს ექ ემეზე არებაო.

კაიდა. ედჰემ-ფაშამ განაცხადა, რომ სულთანის ბრანებით, იარაღი უნდა გარდაეცეს საგანგებოდ ამისათვის დაარსებულს კომისიას. საფრანგეთისა, რუსეთისა და იტალიის სამხედრო გემები და ჯარი კანეაში წავიდნენ.

პარიჟი. ჰერცოგმა ორლეანისამ გამოსცა მანიფესტი და განაცხადა თვისი წინააღმდეგობა მინისტრთა გარდაწყვეტილებისა, რომლითაც, თუმცა დრეიფუსი დამნაშავედ არის ცნობილი, მაგრამ აშკარად სჩანს, რომ ამ საერო კითხვის გარდაწყვეტა ისე ჰსურთ, რომ პალატას არ დაეკითხნენ. ჰერცოგი ბრალსა სდებს მინისტრებს იმაში რომ სამხედრო საქმის ერევა და საფრანგეთის დალუპვა ჰსურთო და იმას იმიზეზებენ, რომ ვითომ უდანაშაულო კაცი უნდა გავამართლოთო.

ვაშინგტონი. სან-ფრანცისკოში მდგომ ხუთს რაზმს ბრძანება მოუვიდათ მანილიაში წასვლისა. ჯარის გაგზავნისათვის საჭირო ღონისძიებას დაუყოვნებლივ მიიღებენ.

9 სექტემბერი

მადრიდი. დედოფალმა-მმართველმა გრაფ მურავიოვის საყოველთაო პროექტის პასუხად სრული თანხმობა განუცხადა და დიდად შეაქო პროექტი. ესპანიის დელეგანტი მაშინ იქმნება დანიშნული, როდესაც კონფერენციას მოუწოდებენ.

ლონდონი. ბუენოს-აირესიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ სასაზღვრო დავა ჩილისა და არგენტინს შორის მშვიდობიანად გათავდაო.

ბუდაბეშტი. უმაღლესი საქალაქო მმართველობა ქალაქიდგან აძევებს ყველა ანარქისტს, რომელიც ამ ქალაქის მოქალაქეთა რიცხვს არ ეკუთვნიან.

ლონდონი. ყანდიიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ ედჰემ-ფაშამ დააპატიმრა უწესოების ზოგიერთი უმთავრესი დამნაშავეო.

პარიჟი. გენერალი ცურლინდენი დანიშნულ იქმნა პარიჟის სამხედრო გუბერნატორად.

ბარცელონა. 10 იტალიელია დაპატიმრებული. ამ დაპატიმრებას კავშირი აქვს ლუკკენის ბოროტმოქმედებასთან.

კონსტანტინეპოლი. მარკოვის დაბეჯითებულ წარგზნილებათა გამო, სულთანმა ნება დართო, რომ კონსტანტინეპოლში შემოსულიყო მატარებელი ბოლგარიიდგან მოსულ მგზავრებით, რომელნიც ბოლგარიის ეკკლესიის კურთხევაზედ დასასწრებლად მოსულან. ბოლგარიის გემი „ბულგარია“ რამდენისამე ასის მოგზაურით უკვე მოვიდა აქა.

წერილი რედაქციის მიმართ

—

არა ერთხელ თქმულა და დაწერილა რკინის გზის მოხელეთა თავ-გასულობის და უყურადღებობის შესახებ. აი ერთი მაგალითიც: 31 აგვისტოს მოვდიოდი შორაპნიდგან ჭიათურაში. შორაპნის სადგურში მივეცი თერთმეტი შაური, გამოვართვი ბილეთი და ჩავჯიქი ვაგონში. მოვიდნენ კონდუქტორები, მომთხოვეს ბილეთი, ვაჩვენე და სიცილი დაიწყეს. თურმე ბილეთების დამრიგებელს ბ-ნს მექსს მოუცია ჩემთვის საბავშვო ბილეთი, რომელიც დიდების ბილეთისგან იმით განსხვავდება, რომ ზედ აწერია: „дѣтскій“ და ნაკლებ ფასად ჰღირს. კონდუქტორებმა მითხრეს, რომ ან უნდა შემდეგ სადგურში სხვა ბილეთი იყიდო და ან „კანტროლი“ მოვა და ერთიორად გადაგახდევინებენო. შემდეგ უფროსი კონდუქტორიც მოვიდა, კიდევ სხვებიც და ყველამ ერთხმად სთქვეს, რომ ბ-ნს მექსს ეგ საქმე ხშირად მოსდის და, თუ „კანტროლი“ მოვიდა, ჩვენ თითონ ვეტყვით, რომ შენ არავითარი დანაშაული არ მიგიძღვისო. მიბრალა ღმერთმა და „კანტროლი“ არსაიდგან გაჩნდა, თორემ ისედაც გაფზეკილს ჯიბეს უფრო დამიცალიერებდნენ.

სასურველია, რომ ბ-ნი მექსი ყურადღებით მოეკიდოს თავისს საქმეს და თავისის წყალობით მგზავრებს სირცხვილისაგან მუდამ არ აწითლებდეს.

ჰერევისის მასწავლებელი ვანო გიუნაშვილი

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლისაგან

პირველ სექტემბრიდამ პირველ ოქტომბრამდე ამა წლისა წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სკოლაში მიიღებიან ჯანმრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

ვისაც სურვილი აქვს სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად, ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის მმართველს, ანუ მზრუნველს ილია ივანეს ძეს წინამძღვარისშვილს (მომრიგებელ მოსამართლეს ქალაქ თბილისში), წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდგან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული აღმოწერილობა წლოვანების წიგნიდგან, და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველ განყოფილებაში არ იქნება, მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენს განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სასწავლო სკოლის კურსს შეადგენს: 1) საღმრთო წერილი, 2) ქართული და რუსული ენები, 3) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, 4) სამშობლოს შესწავლა, მოკლე გეოგრაფია რუსეთისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა, 5) ბუნების მეცნიერება, 6) სამეურნეო საგნები: მიწის შემუშავება, მებაღობა, მებოსტნობა, ვაზის მოვლა-მოშენება, ღვინის დაყენება, საქონლისა და აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება. მეფუტკრობა და სასოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნა, 7) ხატვა, 8) საეკკლესიო და საერო გალობა, 9) სწავლა ხელოსნობისა: დურგლობისა, მჭედლობისა, და ჩილინგროსა (სლესარობა) სა.

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედამამამ, ანუ იმათმა მოადგილემ უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

შორის მხრიდგან მოყვანილ ყმაწვილებისთვის სოფ. წინამძღვარიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისთვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახავად დანიშნულია თვეში შვიდი მანეთი. ყმაწვილს დილა საღამოს მიეცემა სტაქანი ჩაი, ანურძე პურით და სწავლის შემდეგ სადილი, ორი კერძი: ხსნილში სახსნილო და მარხვაში სამარხო. კვირა-უქმეში კი სამი კერძი. კვირაში ერთხელ ყმაწვილებს საცვალი გამოეცვლებათ.

ვისაც ჰსურს მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს წინათ მთელი წლის შესანახი ფული 84 მანეთი; უკეთუ შეგირდი წლის შესრულებამდე სადგურიდგან გავიდა, მაშინ ეს ფული უკან იმათ დედ-მამას ალარ დაუბრუნებათ და დარჩება სადგურის სასარგებლოდ.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს რკინის საწოლი, ქვეშაგებ ექვსი ხელი საცვალი, პირისახოცები, ბალიშის პირები, ზეწრები და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანსაცმელი. ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო.

დაიბეჭდა ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიაში

ამავე საზოგადოების ახალი გამოცემანი:

1) **ᲐᲛᲝᲬᲓᲘᲡ, ᲜᲐᲗᲓᲔᲑᲐ!** და სხვა მოთხრობები ვაჟა-ფშაველასი. ფასი 15 კაპ.

2) **ᲥᲠᲘᲚᲢᲘᲡᲘᲡ ᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘ,** თარგმანი აკაკისა, მესამე გამოცემა, სურათებით. ფასი 30 კაპ.

(10—უ.—1)

ᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲒᲐ აცხადებს საყოველთაოდ, რომ 28 სექტემბერს ამა წლისა ქალაქის გამგეობისავე დარბაზში, 1 საათზე მოხდება საჯარო ვაჭრობა ქალაქის სამკურნალოს აფთიაქის იჯარით ვასაცემად. ეს აფთიაქი გოლოვინის პროსპექტზეა, თამამშოვის სახლში, ეხლა იჯარითა აქვს პროვიზორს კამოცკის. პირობების შეტყობა შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა.

(5—ნ.—2)

издание газеты „Казбекъ“

пріостановленное распоряж. г. Министра Внутр. дѣлъ, на 8 мѣсяцевъ

ВОЗОБНОВЛЯЕТСЯ СО 2-ГО СЕНТЯБРЯ 1898 г.

принимается подписка

на общественную, политическую и литературную газету

„КАЗБЕКЪ“

Условія подписки:

Съ доставкою во Владикавказѣ на одинъ годъ . . 6 рублей.
Съ пересылкою иногороднимъ „ „ „ . . 7 рублей.
Съ сентября по 31 декабря 1898 г. какъ городскимъ, такъ и иногороднимъ подписчикамъ ДВА руб.

Плата за объявленія:

На 1-й страницѣ за 1 разъ 20 к. послѣдующіе разы 10 к. } со строки
На 4-й „ „ 1 „ 10 к. „ „ 5 к. } петита.

Отдѣльный нумеръ 5 коп.

Подписываться можно съ перваго числа каждаго мѣсяца и до конца года. Подписка и объявленія принимаются во Владикавказѣ, въ конторѣ газ. »КАЗБЕКЪ“ у издателя С. І. Казарова. (3—у.—2)

საჭმლის მარილი

მეტად სუფთა და საუკეთესო საჰიგიენო ნაწარმოები

„რ. კელერისა და ამხ.“

მოსკოვის ქარხნისა. ისყიდება **ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ** ქალაქების დიდ ვაჭრებთან. ამ მარილს ისეთი თვისება აქვს, რომ არასოდეს არ დანესტიანდება და სამარილეში მუდამ ფხვნილად იქმნება შენახული. („столовая соль)“. (3—მ.—2)

Дозволено цензурою, Тифлисъ 9 го Сентября 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲩᲐᲕᲩᲐᲫᲔ.